ხუთშაბათი, 26 თებერვალი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 ხუთშაბათი, 26 თებერვალი 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | . . 10 მ. — კ. |
| 11 ,, | . . 9 ,, 50 ,, |
| 10 ,, | . . 8 ,, 75 ,, |
| 8 ,, | . . 8 ,, — ,, |
| 9 ,, | . . 7 ,, 25 ,, |
| 7 ,, | . . 6 ,, 50 ,, |
| 6 ,, | . . 6 ,, — ,, |
| 5 ,, | . . 5 ,, 50 ,, |
| 4 ,, | . . 4 ,, 75 ,, |
| 3 ,, | . . 3 ,, 50 ,, |
| 2 ,, | . . 2 ,, 75 ,, |
| 1 ,, | . . 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 50 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 50

**წლიურის ფასის ნაწილ ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერ ს დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს 3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფ ლს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

---

გამოვიდა ჰ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სასცენო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

---

# 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

გამოდის იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---

**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) საუცხოვოდ **დახატული**.
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიის მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მოამცელაძე**.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ხუთშაბათს, 26 თებერვალს** 1904 **წ.**,

საიმპერატორო თეატრის არტისტკის მ. ა. დუბროვსკაიას, ე. ვ. სტეფანოვიჩისა, იანსას და არტისტის ო. ი. კამიონსკის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

## სამეფო პატარძალი

ოპერა 4 მოქ., მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დუბროვსკაია, სტეფანოვიჩისა, იანსა, ფიდოროვასა, ტროინიკოვისა; ბ-ნნი: ილიუშჩენკო, კამიონსკი, სელიავინი, ფიოდოროვი, გავრილოვი.

ცეკვას მოაწყობს ბალეტმეისტერი ბ-ნი

ვიტტიგი

რეჟისორი ა. დ. ბელსკი

კაპელმეისტერი ა. გ. ასლანოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ადგილების ფასი დაკლებულია.

პარასკევს, 27 თებერვალს, ქ-ნთ ბობროვა-პფეიფერისა, საიმპერატორო თეატრის არტისტკის მ. დ. ტურჩანინოვისა, მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით, გ. პ. მაკაროვის სადებიუტოდ, წარმოდგენილი იქნება «რომეო და ჯულიეტა», ოპერა 5 მოქ., მუს. გუნოსი.

ბილეთები იყიდება.

---

**სადიდმარხვო სეზონი**

წარმ. № 2 ტელეფონი № 617.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 26 თებერვალს 1904 წ.

ერთი მესამედი შემოსავლისა გადადებულია იმ ნივთების შესაძენად, რომელსაც აგროვებს ტფილისის თავად-აზნაურთა კომიტეტი დაჭრილ მეომართა ქსენონებისათვის.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ხ ა თ ა ბ ა ლ ა**

კომ. 4 მოქ. და 6 სურ., ა. სუნდუკიანცისა

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგალეთელისა, მ. მდივანი, ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გედევანოვი, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ამხანაგობის გამგე ვალ. გუნია

---

**ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.**

„ივერიის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ „ივერიაში“ ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ, - დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 **მან.**).

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**ბძელიშვილი კონსტანტინე** კოლოსოვსკის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

---

ექიმი

## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი №** 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვების და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროვატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროვატით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აპეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაგანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არშვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

---

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

გენერალ კუროპატკინის გამგზავრება.—იაპონელების ეშმაკობა.—პორტ-არტურის შესავლის შევიწროვება.—რუსეთის ელჩის მოლაპარაკება ინგლისთან.—რუსეთის კრეისრები სუეცის არხში.—ჩინელი ავაზაკები.—ომის ხარჯი.—ანგლიის ფლოტი.—«გრაჟდანინის» დიპლომატი —„მოსკოვის უწყებების“ ჭკუამახვილობა.—იტალიის განზრახვა.

მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდალი გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი პეტერბურგიდგან წასვლას აპირებს 28 თებერვალს. თან მიჰყავს ალექსანდრეს იურიდიულ აკადემიის პროფესორი გენერალ-ლეიტენანტი კუზმინ-კარავაევი. გენერალ კუროპატკინის უყიდნია ერთ კავალერიის აფიცრისაგან თეთრი ცხენი 600 მანათად და თავისთვის ჰგზავნის შორეულ აღმოსავლეთში. («რუს. ვედ.»).

—

პორტ არტურის ერთი მცხოვრები, რომელიც გამოსულა იქიდგან რამდენისამე საათით ადრე ომის დაწყებამდე, შემდეგს ამბავს იუწყება:

ერთი უზარ აზარი გემი იაპონიის ბაირაღით გაჩქარებული მიდიოდა პორტ-არტურის შესავლისაკენ. იმ ადგილს, სადაც უფრო ვიწრო გასავალია ნავთსადგურიდგან, გემი უცბად შეჩერდა და გარდი-გარდმო მოტრიალდა, ასე რომ, თითქმის მთლად შესავალი შეჰკრა. ამ დროს სხვა ბაირაღიააფრიალა, რომელიც დაღუპვის ნიშანია და შველას ელის. საბედნიეროდ, იქვე ახლო სადარაჯოდ მორიგი გემები მდგარან, შეუნიშნავთ, სწრაფად მიშველებიან და შესავლიდგან გაუცურებიათ. გემი იქვე ახლო დაუძირავს. დაღუპულ გემის მეზღვაურთ მწუხარებით უთქვამთ, რომ რკინით იყო დატვირთული, გზაზე საშინელმა ღელვამ დააზიანა და საჩქაროდ დავაკერეთ, მაგრამ ნავთსადგურის შესავალში დაკერებული ადგილი გასკდა და წყალი გრიალით შემოვიდაო. იმ დროს ეს ამბავი მართალი ჰგონებიათ და ეჭვიც არავის შეუტანია. იმ ღამეს იაპონელების გემები თავს დაესხნენ პორტ-არტურის ესკადრას და ნავთსადგურის შესავალი რომ დაკეტილი ყოფილიყო, სწორედ რომ დიდი უბედურება დატრიალდებოდა. შემდეგ-კი მიხვდნენ, რა განზრახვა ჰქონია სავაჭრო გემს, მაგრამ რაღა დროს. (იქვე).

—

გაზეთი «რუსი» იუწყება, «დ. მ.»-ს დეპეშა მიუღია ტოკიოდგან, რომ იაპონელების მეცადინეობა პორტ-არტურის შესავლის ჩაკეტის შესახებ არც ისე უნაყოფოდ ჩაიარა, როგორც ჰგონიათო. ერთი გემი ისეთ ადგილს ჩაჩხირულა, რომ მიმოსვლას უშლის, თუ რომ წინად ნავთსადგურიდგან გემი ნახევარ საათში გამოვიდოდა, ეხლა ორ საათსაც ანდომებს, რადგან გარს უნდა მოუაროსო.

—

«შლეზვ. გაზ.» იუწყება, პეტერბურგიდან გვაცნობეს, ვითომც ჯავშნიანი გემი «რეტვიზანი» ჯერაც გაკეთებული არ არის, ერთს ადგილას დგას ისედაც ვიწრო შესავალთან და დიდს გემებს გზას უკრავს, რომელნიც ამის გამო ველარ გამოდიან და ომში მონაწილეობას ვერ იღებენო. («რ. ვ.»).

—

რუსეთის ელჩი გრაფი ბეკენდორფი, დაბრუნდა თუ არა ლონდონში პეტერბურგიდგან, მაშინვე ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს გრაფ ლანსდოუნს ეწვია და დიდხანს ესაუბრა. მალე გრაფ ბეკენდორფს ინგლისის მეფე მიიღებს სადარბაზოდ.

მინისტრთა საბჭოს ქაიროში გადაუწყვეტია,—სუეცის არხზედ არ გაატარონ არც ერთი გემი მეომარ სახელმწიფოებისა. ეს დადგენილება, რასაკვირველია, ინგლისის მთავრობის შთაგონების შედეგია. რადგან იაპონიის გემებს ამ არხზე გამოვლა სრულიად არ დასჭირდებათ, ცხადია, რომ არხის დახშობა რუსეთის წინააღმდეგ არის მოგონილი. თუ რომ მართლა ამ გზით რუსების გემები არ გაატარეს, მაშინ აფრიკას უნდა გარს შემოუარონ და შორეულ აღმოსავლეთისკენ ისე გაემართნონ («ბირჟ. ვედ.»).

—

რუსეთის კრეისერი «ავრორა», როგორც სუეციდგან «ბერ. ტაგ—ტს»ატყობინებენ, სუეცის არხთან გაურიყავს. კრეისერ «დიმიტრი დონსკოი» დაზიანებულა. მისი კაპიტანი თხოულობს, ორის კვირით სუეცში დააყენონ, ვიდრე გაკეთდებოდეს. («რ. ვ»).

—

რუსეთის გემები, იაპონიისაგან დატყვევებული და სასებოს მიყვანილი, «მუკდენი», «მიხეილი», «არგუნი», «როსსია», «ნიკოლაი» და „ალექსანდრე“ საგანგებო სასამართლოს იაპონიისათვის დაუსაკუთრებია, როგორც ნადავლი. (იქვე).

—

შორეულ აღმოსავლეთში, როგორც „რუსი“ იუწყება, საქმეები უფრო

უფრო იწევზა. ავაზაკებსა და ჯარის-კაცად ნამყოფ იაპონელებს ბრბოები შეუდგენიათ და რუსებს აქა-იქ თავს ესხმიან. ერთი ბრბო, რომელშიაც 500 კაცი მანლიხერის თოფებით ყოფილა შეიარაღებული, რუსის მოწინავე მზვერავ რაზმს დასცემია და დასტაკებია. ავაზაკები რუსის რაზმმა უკუ აქცია და 87 კაცი მოუკლა, რომელთა შორის 6 იაპონელი აღმოჩნდა.

—

ნეაპოლიტანის უნივერსიტეტის საფინანსო მეცნიერების პროფესორს ნიტტის გამოუანგარიშნია, რა უნდა დაუჯდეს რუსეთს იაპონელების ომი და თავისი წერილი გაზეთ «პუნგოლოში» დაუბეჭდია. პროფესორის მოსაზრებით, რუსეთი ცისმარე დღეს ხარჯავს ომის დროს 5 მილიონ მანათამდე, იაპონია-კი, რადგან ომის ველზე უფრო ახლოა—მხოლოდ 1 მილიონამდე. ის ფული, რაც რუსეთის ხაზინას ნაღდად აქვს, 5 თვეს ეყოფა საომრად, ხოლო იაპონიას ნაკლები თანხა აქვს ნაღდად და 2 თვესაც ვერ მიატანსო. («ნოვოსტი»).

—

ინგლისის საზოგადოებათა პალატაში შემდეგი მოსაზრება წარმოითქვა ფლოტის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ:

ინგლისის ფლოტი უნდა უდრიდეს ორ უცხო სახელმწიფოს ძალას. რუსეთისა და საფრანგეთის ფლოტში ითვლება 64 პირველისა ⁊ მეორე ხარისხის გემი, რომელთაგანაც რამდენიმე მხოლოდ ეხლა კეთდება. საფრანგეთისა და გერმანიის გემთა რიცხვი, ერთად აღებული, 61 შეადგენს, მარტო ინგლისს-კი 63 გემი ჰყავს. რაც შეეხება კრეისერებს, ამ შემთხვევაში-კი იმავე ანგარიშს ვერ დავემყარებით, რადგან ინგლისს ყველაზე მეტად აქვს ვაჭრობა გაძლიერებული სხვა-და-სხვა ქვეყნებში. ინგლისის ფლოტი უძლიერესია მთელს დედამიწის ზურგზედ და ეს ძლიერება არის მშვიდობიანობის თავდებიო. ჩვენი ფლოტი—ჩვენი არსებითი მოთხოვნილებაა. ყოველ სახელმწიფოს, რომელსაცკი შიში აქვს ინგლისის თავსდასხმისა, ის ურჩევნიან, სრულიად არა ჰყავდეს ფლოტიო. (იქვე).

—

«გრაჟდანინის» რედაქტორი, თ-დი მეშჩერსკი, სწერს: ლაპარაკი მქონდა ერთ პატივცემულ და სახელოვან დიპლომატთან და შევიტყვე ორი უტყუარი ფაქტი: პირველი—ჩვენი მთავრობა, მშვიდობიანობის აღსადგენად და მეტადრე ჩვენის ხალხის ინტერესების დასაცველად, დიდად მოწადინებულია ომი გაანელოს და ჩააქროს, თუ რომ ეს მოხერხებული იქნება, და ყოველი ღონისძიება მიიღოს, რომ საერთაშორისო დამოკიდებულება არ გამწვავდესო, და მეორე, გრაფ ბეკენდორფის პეტერბურგში მოსვლის მიზეზი ის იყო, რომ ინგლისის მთავრობის მინდობილებით გაეფანტა ტყუილი ხმები, ვითომც ინგლისის მთავრობა აპირებდეს ნეიტრალიტეტის დარღვევასა.

—

«მოსკოვის უწყებები» ამბობს, ეხლანდელი ომი ეკონომიურად არ დასცემს სახელმწიფოს და პირიქით უფრო ხელს შეუწყობს, რადგან მრეწველობას გააძლიერებსო. ჰკითხეთ, მაგალითად, მოსკოვის საფეიქრო ქარხნების პატრონებს, როდის უფრო მეტი სამუშაო გაუჩნდათ, ომის წინად, თუ ეხლაო! 1903—1904 წელს, როდესაც მშვიდობიანობა არსებობდა, იმათ განიზრახეს სამუშაო შეემცირებინათ, რადგან მოთხოვნილება არ იყო. ეხლა რაღას იტყვიანო? თავსაყრელი საქმე აქვთ, თუ არა?! ჩვენი მეურნეები სჩიოდნენ, პურს ფასი არა აქვსო. ეხლა კი დიდი მოთხოვნილებაა და პური შინ რომ გასაღდეს, მწარმოებელი უფრო მეტს ხეირს ნახავს, ვიდრე საზღვარ გარედ გატანითო.

—

იტალიის გაზეთები სხვა-და-სხვა კილოზედ ლაპარაკობენ რუსეთ-იაპონიის ომის გამო. ლიბერალები და ზომიერნი, სამინისტროს მომხრენი, თანაგრძნობას აცხადებენ იაპონიისადმი. კონსერვატორები-კი უფრო თავ-დაჭერილად არიან და უფრო რუსეთს ემხრობიან, ვიდრე იაპონიას. ინგლისსა და იაპონიას იმიტომ უცხადებენ თანაგრძნობას, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რაღასაც მოელიან და, ინგლისის დახმარებით, გამორჩომა სურთ. რადგან რუსეთი აზიაშია გართული. ინგლისის მეგობრობა ამ ჟამად უფრო გამოსადეგი ჰგონიათ. ამბობენ, ვითომც საიდუმლო მოლაპარაკება აქვთ იტალიას, ინგლისსა და გერმანიას ბალკანეთის ნახევარ-კუნძულის შესახებ და უნდათ ავსტრიას აღარ აცალონ და მიზეზი არ მისცენ თავისს სამფლობელოს გასაფართოებლად. მაინცა-და-მაინც, იტალიის მთავრობა არ ინდომებს, რომ სარგებლობის მოლოდინით საქმე გაამწვავოს და იარაღით ჩაერიოს. თუ შესაძლოა გამორჩომა, ისე უნდა მოხდეს, რომ სახელმწიფოთა კეთილ-განწყობილება არ დაირღვეს.

ამ გაზაფხულს ნეაპოლში მიელიან გერმანიის კანცლერს გრაფ ბიულოვს, ვითომდა დასასვენებლად, როგორც ყოველთვის. მაგრამ ამ გზობით, უეჭველია, «შემთხვევით» შეხვდება იტალიის მინისტრებს და აბა როგორ შეიძლება საპოლიტიკო ლაპარაკიც არ ჩამოაგდონ.

აქ ბევრს ლაპარაკობენ, ვითომ იტალიაც აძლიერებს თავის ფლოტსო. ნეაპოლის თოფხანებში გაცხარებული მუშაობაა და სამხედრო გემებიც თავმოყრილნი არიან.

გერმანიის იმპერატორიც აპირებს მოგზაურობას ხმელთა-შუა ზღვაზე და, რასაკვირველია, შეხვდება იტალიის მეფეს და ამ სეირნობაში ბალკანეთის ნახევარკუნძულის ბედ-იღბალს უომრად გარასწყვეტენ. («ნოვ.»).

## ტფილისი

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის მოხელეთაგან სასჯელო საქმეთა მინისტრმა უქვეშევრდომილესი გრძნობანი მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც კეთილ ინება და ბრძანა:

«გულითადი მადლობა ვუძღვნა ყველას გამოთქმულ გრძნობისათვის».

*** წელს 40.000 მანეთია გადადებული რუსეთიდგან კავკასიაში გადმოსახლების საქმისათვის.

*** ბოტანიკურ ბაღის ადმინისტრაციისათვის ამავე ბაღში შენობას აგებენ. შენობა დაწყებულია, მაგრამ დასამთავრებლად ფული აღარ აქვთ. ამიტომ მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა კავკასიაში შუამდგომლობა აღძრა უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ მან მისცეს იმდენი ფული, რაც საჭიროა შენობის დასამთავრებლად.

*** ამ დღეებში «შრომის მოყვარულთა სახლს» საკუთარ შენობაში გადაიტანენ, რომელიც ნიკოლოზის ქუჩაზედ ააგეს.

*** ქალაქის საბჭოს ერთ ხმოსანს განუზრახავს, წინადადება მისცეს ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის ბაღები, სადაც ბლომად დაიარება ხალხი, ელექტრონით გაანათოს.

*** სოფლელნი ეტანებიან ხეხილების გაშენებას თავიანთ ადგილში, მაგრამ ზოგჯერ სულ უვარგისს ხეხილს ჰრგავენ და ამასთან ისე ვერ უვლიან, როგორც საჭიროა. ამიტომ, როგორც გადმოგვცეს, მთავრობას განუზრახავს, სოფლებში მცოდნე კაცნი გაგზავნოს, რომელნიც გლეხკაცს ხელმძღვანელობას გაუწევენ ამ საქმეში.

*** ჭლექის საწინააღმდეგო გამოფენა ტფილისში დიდმარხვის მეხუთე კვირას დაიწყება.

*** ქალაქის გამგეობამ 2.100 მანეთი გადასდო ჯადოსნურ ფარნების შესაძენად ქალაქის სკოლებისათვის.

*** ხელოსანთა შორის ამ დღეებში დაიწყებენ ფულის მოგროვებას შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართათვის შემწეობის აღმოსაჩენად. ამ საგნის შესახებ მსჯელობას ამ დღეებში იქონიებენ ხელოსნები საზოგადო კრებაზედ.

*** ქალაქის საყასბოს აღმშენებელ კომისიის თავმჯდომარედ ა. ბაბოვი იქმნა არჩეული.

*** სიონის საკათედრო ტაძრის სამღვდელოებამ გადასწყვიტა, თავიანთ ჯამაგირიდან ერთი პროცენტი გადასდოს რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის

*** მოკლე ხანში მიხეილის პროსპექტზე ათ ელექტრონის ფანარს დასდგამენ.

*** ხმოსანმა მირზოევმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა მოხსენება ქალაქის საუკეთესოდ განათების შესახებ. პროექტს გამგეობა ამ დღეებში განიხილავს და შემდეგ საბჭოს წარუდგენს.

*** როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლებისათვის საკუთარი შენობა ააგოს. რამდენისამე სკოლისათვის ადგილი უკვე შეიძინა. სასწავლებელთა გამგე-კომისიას მოკლე ხანში კრება ექმნება, რომელზედაც მოილაპარაკებს იმის შესახებ, თუ როგორის გეგმით უნდა ააგონ შენობა.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სავაჭრო პოლიციის თავმჯდომარეს ა. ბაბოვს; მეტი ყურადღება მიაქციე, რომ სავაჭრო პოლიციის აგენტები წესიერად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობასაო. დასათვასებელ გადასახადის სიმცირეს გამგეობა სავაჭრო პოლიციის აგენტთა უმოქმედობას აწერს.

*** ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს სააღმშენებლო განყოფილებას აცნობეს ზოგიერთმა მემამულეებმა, მამადავითის მთაზედ შენობები უნდა დავიწყოთო. ზოგი მემამულეთაგანი ძალიან დიდისა და შესანიშნავის სახლის აგებას აპირებს

*** ხვალ კავკასიის ფარმაცევტთა აპხანაგობის წევრთა კრებაა დანიშნული საზოგადოების 1903 წ. ანგარიშის განსახილველად

*** ქ. ფოთიდგან გვწერენ: ზოგიერთი აქაური სასტუმროები, „მორთული ნომრების“ სახელით მონათლულნი, უფრო გარყვნილების გამავრცელებელს სახლს ჰგავს, ვინემ სასტუმროს. ამ სასტუმროებში მუდამ იმყოფებიან საეჭვო ყოფა-ქცევის ქალები, რის გამოც ყმაწვილ კაცთა შორის სხვა-და-სხვა გადამდები სენი ვრცელდება. საჭიროა სასტუმროებს სასტიკი ყურადღება მიაქციონ.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ამ დღეებში მოელის იმ ექსპონატებს, რომელიც სან-ლუის მსოფლიო გამოფენაზე გაჰგზავნა ამას წინად. ზოგიერთებს განუზრახავთ, თვითონ გაჰგზავნონ თავიანთ ხარჯით ექსპონატები გამოფენაზედ.

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „გულივერის მოგზაურობა“, თხზულება სვიფტისა, დაბეჭდილი „წერა კითხვის საზოგადოების“ მიერ. ეს წიგნი გადმოსთარგმნა ქართულად განსვენებულმა ი. ცისკარაშვილმა პირველად დაიბე და ამ ათიოდე წლის წინად და სულ გაიყიდა, ასე რომ, საჭიროდ შეიქნა მეორედ მისი დაბეჭდვა. ტექსტი დასურათებულია ⁊ ავტორის სურათიცა აქვს დართული. კარგს ქაღალდზეა დაბეჭდილი, შეიცავს 168 გვერდს და ჰღირს 30 კაპ

## რას ლაპარაკობს სომხური ჟურნალ-გაზეთობა?

გარდახვეწილის წერილის გამო, რომელიც გამოაქვეყნა გასულის იანვრის 4 დღის «ივერიამ» «შურდულის» განყოფილებაში და სახელად ერქვა «შორიდან ქართველის პროფესორის კაბინეთში», გული მოსვლია «მშაკს» და აი, რას ლაპარაკობს ამ თებერვლის 20 დღის ნომერში უსახელო ავტორის პირით, ან უკეთესია, ვთქვათ, თავისის საკუთარის პირით.

«ხალხთ მოძულეობა ბიწიერებაა, რომელიც არა თუ ნებას არ აძლევს ადამიანს დაწინაურდეს, სრულ ყოფას ეწიოს, არამედ ერთგვარ გონებრივ უსუსურობასაც წარმოადგენს, ისეთ უსუსურობას, რომლისთვისაც არ იცით რა ქმნათ, იტიროთ თუ იცინოთ. დაავადებულის ხალხთ-მოძულეობის ცხოველი მაგალითი ქართული «ივერია» გაზეთია. „მშაკის“ მუდმივი მკითხველები საკმაოდ უნდა იცნობდნენ მის ასეთ სახეს. ერთ დროს მრავალი ფაქტი წამოვაყენეთ ამ გაზეთის ზნეობრივის სურათის გასაცნობად. მაგრამ დაძმარებული ხალხთ-მოძულეობა უვალებულია. წელნი წელთ მისდევენ, ისკი მუდამ ერთი და იგივე რჩება, მუდამ თავისი უსუსურობისაგან მოუცლელი. ეს საქმე მოგვაგონდა, როცა ვიხილეთ «მურჯ»-ის ჟურნალის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილი წერილი სახელად «ქართველთა მწერლობა და ცხოვრება» და შიგ ზოგიერთი ადგილები «ივერიისა» გაზეთიდან გამონაკრეფი.

დიდიხანია ვიცოდით, რომ ქართულ ხალხთ-მოძულეობას ერთი დიდი ტკივილი აქვს, მისი, რომ ქვეყნად ცხოვრებს პროფესორი მარრი, რომელიც იკვლევს სომხურს ენასა და მწერლობას. პროფესორი მარრი მარტო ერთი მოვლენა როდია. სომხობის შესწავლისათვის თავი შეუწირია მრავალ მეცნიერსა თვით ევროპაში, მაგალითად, კარიერს, მიულერს, ჰაუბშმანს, და სხვას. მაგრამ ამათი სახელები ქართველ ხალხთ-მოძულეთათვის არასოდეს არ ყოფილა ის წითელი სამოსი, რომელიც აგიჟებს ინდოურებსა. პროფესორი მარრი სულ სხვაა. მამა ინგლისელი, ხოლო დედა ქართველი ჰყავდა. აი მზა-მზა განაჩენისა: პროფესორი მარრი ქართველიაო. ძლიერ კარგი, მაგრამ თავდაპირველად გაუგებარია, თუ, მაინც და მაინც, «ქართველი» მარრი რად გამხდარა ასეთი ტკივილების ამშლელი ქართველის შოვინისტებისათვის.

ნუ თუ, მეკითხებით, ქართველს არ შეუძლია სამეცნიერო მოღვაწეობისათვის აირჩიოს რომელიმე ენა, სომხური, არაბული, სანსკრიტი, თუ ეგვიპტურიო? რასაკვირველია, შეუძლია. ქართველი, სომეხი, თურქი (ოსმალო) კაცნი არიან, კაცის გერგილის მქონე და თუ ნიჭიც გამოუჩენიათ ზოგად კაცობრივ საღვთო სალაროში, რომელსაც ეწოდება მეცნიერება, სასახელოა, როგორც მათ, ინდივიდთა (განუკვეთელთა), ისე მათ ერთათვის.

ასე სჯის, საზოგადოდ, საღი გონება, ქართველი ხალხთ-მოძულეები-კი ასე არა ჰსჯიან. მარრი ქართველია, მაშასადამე, ვალდებულია მარტო ქართველს იკვლევდესო. წარმოიდგინეთ, «ივერიის» კორესპონდენტის სრული თავზარი. შედის პროფესორთან, ათვალიერებს ყველაფერს და სწერს წერილს, სახელად «ქართველ პროფესორის კაბინეთში», რომელსაც აღტაცებაში მოუყვანია «ივერია». უთუოდ გეცოდინებათ, თუ რა უნდა იყოს მისი თავზარისა და სასოწარკვეთილების მიზეზი. წარმოიდგინეთ, არმენისტს უნახა სომხური წიგნები, სომხური სურათები და სხვა ამისთანა სრული ღალატი ქართული ხალხთ-მოძულეობის მიმართ. საბედნიეროდ, ლოღიკა ყოველთვის აკლია ხალხთ-მოძულეობას და არც შეიძლება სერიოზად გამოელაპარაკოს ადამიანი. თუ არა, შეეძლო ვინმე სომეხს ეთქვა «ივერიისთვის»; ეგერ ქართულის ხალხთ-მოძულეობის ერთი მლახვრავთაგანი, თავადი ილია ჭავჭავაძე, ამბობენ დედა სომხის ქალი ჰყოლია, მაშასადამე, სომეხიაო. თუ ვინმემ ასე ილაპარაკა, «ივერიელებს» ხირი შეეშლებათ, მაგრამ არც ერთი სომეხი, გჯეროდესთ, არ იტყვის ასეთ რამეს. ჭავჭავაძეს არა თუ სრული თავისუფლება აქვს ქართველად ყოფისა, არამედ უმეტესიც—შეუძლია გუნდრუკიც უკმიოს მშობლიურ ხალხთ მოძულეობას, სომხების დარბევის დამწყებმა.

აი რამდენად ბრმა და უბედურია ხალხთ-მოძულეობა. წავიკითხეთ «ივერიის» კორესპონდენტის სავაგლახო და გულდასაწყვეტი წრიპინი: (მოჰყავს ადგილი, რომელიც შეეხება პროფესორის კაბინეთის აღწერილობას, მაგრამ გამოტოვებულია მრთლად ფრაზი: «იქით (სურათი) თავისუფალ არმენიისა», და სადაც კორესპონდენტი ჰკითხულობს: «ჰკვირობთ, ჩრდილოეთის ქალაქში ვარ, თუ ერევნის მაზრის «მშაკაკანებით» დასახლებულ სოფელშიო»).

მართლა მძიმე ⁊ აუტანელი საკითხია ⁊ როგორ მოხდა, რომ ქვეყანა, ასეთი საკითხის მატარებელი, კვლავად განაგრძობს სრბოლას მზის გარშემო, საკვირველია. იფიქრეთ, მკითხველო. ვიგინდარა რომ შემოვიდეს თქვენ სახლში და ბრალად ჩაგითვალოთ, რომ თქვენს სახლობაში, თქვენს ოჯახში გაბედულება გაქვთ თქვენი გემოვნება, თქვენი თანაგრძნობა, თქვენი საყვარელი საქმე გამოაჩინოთ, რას იქთ? უსათუოდ კარში გააგდებთ ისეთ მომკითხველს, რაკი გააგებინებთ, რომ ზნეობის წინააღმდეგია, როცა თავს ნებას აძლევს ასეთი კითხვა ჰყოს. ამასვე იქმოდა ქართველი ხალხთ-მოძულეც. ესევე ხალხთ-მოძულე არასოდეს ნებას არ მისცემს, რომ სხვა ვინმე მასავით თავისუფალი და თავნება იქმნეს მის სახლში. მოთმინების ძაფი ერთხელაც გაწყდება.

დიდებულია შოვინისტი კორესპონდენტის წერილის დასასრული. ხედავთ გმირსა, რომელიც ამბობს, გამოვედ თუ არა, გასომხებულ პროფესორს ვუთხარიო (აქ მოჰყავს ადგილი, სადაც კორესპონდენტი ამბობს «ახლა დავრწმუნდი, რომ მოვსულვარ «გამშაკაკანებულის» სახლშიო».

კარგია, მართალი იყოს. კორესპონდენტსა და «ივერიას» განსაკუთრებით დიდი პატივი უციათ «მშაკისათვის». თუმცა დაცინვის კილოთი ხმარობენ ჩვენი გაზეთის სახელსა, მაგრამ შოვინისტების დაცინვას ჩვენთვის სასახელოდ ჩავთვლით. მთლად ეს ამბავი, რომელიც ავწერეთ აქ მკითხველების შასატყობინებლად, ჩვენზე მძიმე მაჯლაჯუნის შთაბეჭდილებასა სტოვებს...»

—

კარგია, ამ წერილს ისევ «გარდახვეწილი» მისცემდეს პასუხს «შურდულშივე». შეიძლება გამონატყორცნი კენჭი საგრძნობელს ადგილს მოხვდეს «მშაკსა» და კიდევ ამოაღებინოს ხმა. ჩვენ-კი მანამდე ორიოდე სიტყვას მაინც მოვახსენებთ პატივცემულ გაზეთსა. ბ-ნი მარრი მამითაც რომ ქართველი იყოს, მაშინაც არ ეთქმის ქართველის მეცნიერობა. რადგანაც ქართველის მეცნიერი, ჩვენის აზრით, ქართულად უნდა სწერდეს და საგნის მარტო კვლევა საკმარისი არ არის. აგრეთვე არც სომხის მეცნიერია ბ-ნი მარრი, რადგანაც სომხურად არა ჰსწერს. მოკლედ რომ ვთქვათ, იგია რუსის მეცნიერი, რომელიც რუსულად ჰსწერს და რუსულ მეცნიერებას ამდიდრებს სომხურის ენისა და ისტორიის შესწავლით. შეიძლება, ბ-ნი მარრი იყოს სომხის მეცნიერიც და ქართველისაც იმდენად, რამდენადაც თავის გამოკვლევს ან სომხურად დასწერს, ან ქართულად. გერმანიის ფილოსოფოსებმა და ისტორიკოსებმა საბერძნეთ-რომის ენა და ისტორია ზედ მიწევნით იციან, მაგრამ მათ არავინ უწოდებს ბერძნისა და რომის მეცნიერებს, რადგანაც გამოკვლევს გერმანულად ჰსწერენ და მით ამდიდრებენ სამშობლო მეცნიერებას. ასე რომ «მშაკ»-ს ტყუილად ჰგონია, მარრი სომხის მეცნიერი იყოს.

სომხურ გაზეთებში ხშირად იხმარება სიტყვა «ხალხთ-მოძულეობა», როცა-კი საქართველოს შესახებ რამე პოლემიკა ატყდება. ვითომ და ამით უნდათ გვითხრან, ქართველებს გძულვართ, გეზიზღებითო.

რამდენად მართალია ასეთი ალსარება, საქმეც კარგად აცხადებს, მაგრამ სომხის მოღვაწენი, მწერლები და მათგან გაბრძნობილი დიდვაჭრები-კი არა გვგონია ჩვენი გულწრფელი მეგობრები იყვნენ. ან რა სათქმელია «ილია ჭავჭავაძე ქართული ხალხთ-მოძულეობის ერთი მლახვრავთაგანია, შეუძლია გუნდრუკიც უკმიოს მშობლიურ ხალხთ-მოძულეობას, სომხების დარბევის დამწყებმაო». რაღა, სომხების დარბევის მოთავედ ილია ჭავჭავაძე იქნება?! კმარა!

ქართველი რომ მართლა ხალხთ-მოძულე იყოს, მოთმინების ძაფი ამდენხანს გაუწყდებოდა და ზოგიერთ არა-მკითხე სტუმარს კარს უჩვენებდა, მაგრამ რა გაეწყობა, ეგებ «მშაკს» თვითონ ჩვენ მივაჩნდეთ ასეთ სტუმრად და უნდა ვეფთხილობდეთ, მართლა კარი არ გვიჩვენოს.

ან-კი რა გასაკვირველია. სომხის აზგასერმა მწერალ-მოღვაწეებმა პოლიტიკურად და მათმა დამქაშმა დიდ ვაჭრებმა ეკონომიურად რაც დღე საქართველოს დააყენეს. განა არ ხატავს მათი ზნეობის სურათსა? მაგრამ ასეთი ზნეობა მათთვის სრულიად არ არის საძრახისი, თორემ ამდენხანს ხელს აიღებდნენ. ჩვენის თვალით-კი საძრახია და მავნებელიც, რადგანაც ჩვენ წინააღმდეგ არის მომართული. ამიტომ წუთსაც არ მოვიშლით მათი ასეთი მიმართულების წინააღმდეგ ბრძოლას. უთუოდ ჩვენი ასეთი თავგამოდება და ხელგამოდება უნდა იყოს ამის მიზეზი, რომ «მშაკი» თავიდანვე ცდილობდა და ცდილობს თავის მკითხველებს დაუმტკიცოს ჩვენი გაზეთის მიმართულების უზნეობა. ჩვენ-კი მიმართულება ჩვენის გაზეთისა ზნეობრივი გვგონია, რადგანაც ემსახურება თავისი ქვეყნისა და ერის ბედნიერებას და დამბრიყვებელს დაბრიყვებითვე აძლევს პასუხსა. თუ «მშაკიც» ზოგიერთ სომეხთა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურად განადგურების მიმართულებას მისდევს, სამწუხაროა, რადგანაც არც უწინ ყოფილა ყოველთვის მაინც და მაინც წმინდა წყლის ორგანო და ეხლა «ნორდარ» გაზეთის მოსპობის შემდეგ, სულ ამღვრეულა, თითქოს მისი ანდერძის აღმსრულებლად გამომდგარიყოს.

კლდია.

## ჩვენებური ამბები

**კახეთი.** კახეთის ავაზაკებთან ომი და მისი სამის წლის შედეგი.—განთლებისა და ასურეების სადაო მამულები და ამ დავის გადაუწყვეტლობის გამო მათ შორის ომი და მისი შედეგი.

კახელებს აგერ სამი წელიწადია ომი აქვთ ავაზაკობასთან და ავაზაკებთან. ერთ მხარეს ნაშრომის პატრონია და მეორე მხარეს—ნაშრომის წამრთმევი. პირველი გატენილის თოფით და ამოღებულის ხანჯლით ადგა დარაჯად ნაშრომსა, მაგრამ წამრთმეველთა იერიშს მაინც ვერ უმაგრდება. ამ სამს წელიწადში თანდათანობით ნაშრომთა პატრონნი რაოდენო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით და ვითარებით ცოტავდებიან, მოტაცებულის პატრონნი-კი რიცხვითაც და ვითარებითაც მრავლდებიან. აქნობამდის ხომ არ იყო ეს საქმე სასურველს მდგომარეობაში, ამას იქით უარესს უნდა ველოდეთ, რადგანაც ყველას ყურადღება რუსეთ-იაპონიის ომის ამბებმა მიიქცია. ეხლა უფრო ყურს აღარავინ უგდებს სხვისს უბედურებას. აი ამისი დამამტკიცებელი საბუთიც: თელავიდგან 16 ვერსზედ, ზედ ფოსტის გზა-ტკეცილზედ, არის სამი სოფელი, ერთი მეორეზედ გადაბმული: აკურა, ვანთა და ბუშატი. სამივე სოფელი სახასო გლეხებით არის დასახლებული, უჰირავთ სახელმწიფო მამულები. განთაში არის მებატონე ჯაფარიძე, მაგრამ ნაყმევები არა ჰყავს იქ. ის სანავთო მამულს ედავებოდა ხაზინას და ამ ბოლო დროს ნახევარი მოიგო. ჯაფარიძეებთან დავის დროს სახელმწიფო ინტერესების წარმომადგენელნი, როგორც ყოველთვის და ყოველგან, აკურელ გლეხებს არიგებდნენ, რომ იმათ მეტი მამული დაეჩემებინათ, რაკი აკურაში ხაზინას არა ჰყავდა მოდავე. ასეც მოხდა, აკურელებმა მეტი მამული დაიჩემეს, რაზედაც ვანთელები და ბუშატელები გადიმტერეს: ეს უკანასკნელნი თხოულობდნენ, თავისი ნაჭერი მამული დაჰბრუნებოდათ. აი, წელიწადზე მეტია, რაც საჩივრები აქვს, სთხოვენ სახელმწიფო ქონებათა გამგეობას, გაგვიყავით მამული, მოგვაშორეთ ყოველდღიური შფოთი აკურელებთანაო. თვით ამ სტრიქონების დამწერი ვყოფილვარ ადგილობრივ აგენტთან, რომელიც მეზობლად იდგა და, რადგანაც ენა არ იცოდა, მიმიწვევდა ხოლმე გლეხთა საჩივრების მთარგმნელად, თვით მე გადამიცია თხოვნა გლეხებისა, რომ თვითონ ჩასულიყო, ფეხიდაედგა,—აქნობამდის აკურელებმა და აქნობამდის ვანთა-ბუშატელებმა ისარგებლეთო. რაკი თქვენ, სახელმწიფო მოხელე, იტყვით, ხალხი დასჯერდება-მეთქი.

დაპირება მუდამ ბევრი იყო და შესრულებისა-კი რა მოგახსენოთ. რასაკვირველია, ისიც იცოდნენ, რომ ეს სოფლელები ძალიჯ ედგნენ ერთმანეთს და როდისმე ეს ძალა მსხვერპლად შეიწირავდა ვისმე, მაგრამ, მოგეხსენებათ, სანამ სისხლი არ დაიქცევა, ყურს არავინ გაიბერტყს. აგერ სისხლიც დაიღვარა და მგონია, მეტი სისხლი დაიღვარა, ვიდრე რუსეთ-იაპონიის ომმა დაჰღვარა დღევანდლამდის. რაკი არავინ მიჰხედა სოფლელთა ვედრებას, სოფლელთა მოხელეებმა (აკურისამ და ვანთისამ) თვით ჩასვეს მიჯნები სადავო ადგილში, და უჩვენეს, ვის სადამდის შეეძლო ესარგებლნა.

სადაო ადგილთაგან ერთი ნაჭერი ტყე არის სოფლების ბოლოში. ესეც გაყვეს. 1 თებერვალს ჩასულან ვანთელები და ჰიგვის ჰრა დაუწყიათ თავიანთ ადგილში. იქნება ზოგი კიდეც გადავიდა მიჯნას—ეს ჯერ არ ვიცი. ჩასულან აკურელები და მოსვლიათ ჩხუბი. ამ ჩხუბში ბევრისთვის თავპირი დაუმტვრევიათ ორივე მხარეს და ერთი აკურელი დაუჭრიათ საფანტით. 3 თებერვალს აკურელები შეკრებილან (ამბობენ, კომლზედ კაციო), გაუკეთებიათ წითელი ცხვირსახოცების ბაირაღები, მისულან წყაროზედ (ეს წყარო ორივე სოფლის სასარგებლოა ათაღან-ბაბაღან), გამოუცხადებიათ, ვინც წყაროზედ მოსვლას გაჰბედავს, დაგატყვევებთო და დაუტყვევებიათ, ე. ი. წაუყვანიათ აკურაში რამდენიმე გოგო და ბიჭი. ეს ვანთელებს გაუგიათ, გამოსულან ესენიც კეტებით. ზედ დატანებით ალექსანდრე ჯაფარიძეს ჩამოუვლია ტყიდან მუშებით (ესეც ჰიგოს საჭრელად ყოფილა სხვა ტყეში). ყველანი იქ მისულან, სადაც აკურელები იდგნენ ბაირაღებით. ჯაფარიძეს ერთი-ორი სიტყა უთქვამს დასამშვიდებლად, აკურელებს პასუხად დაუშენიათ კეტები. ჯაფარიძეს რევორველისთვისაც მიუმართავს, მაგრამ დაურტყამთ კეტი და დაუციათ. ამას სხვები მიჰშველებია. ატეხილა ორსავე მხრიდან ფიცხელი კეტის ტრიალი და შიგ-და-შიგ თოფის სროლაც. ბრძოლა ორ საათამდის გაგრძელებულა, აი ბრძოლის შედეგი: ერთი აკურელი თოფით მკვდარია, ორსავე მხარეს რვა დაჭრილია, ზოგი მსუბუქად და ზოგი მძიმედ. თავგატეხილთა და მსუბუქად დაშავებულთა რიცხვი 60 მეტია. ეხლა მაინც მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება.

ნადიკვრელი.

---

**სამეგრელო.** მეფე ლიუდოვიკ XIV-მ საფრანგეთის ერი დასტოვა ისეთ დროსა,—შენიშნა ერთმა მისმა თანამედროვემ,—რომ მას «მარტო თვალები შერჩა სატირლადაო». როდესაც ჩვენს ცხოვრებას, მის სულიერს და ქონებრივს მდგომარეობას ჩაუკვირდები, მაშინ ჩვენს ეხლანდელს დროს ძალა-უნებურად ვადარებ საფრანგეთზე ერთხელ გადავლილს დროს; ერთხელ დარბაისელი სამეგრელო, რომელსაც, მიუხედავად ურწმუნო მტრებისა და მრავალგზის შემოსევისა, დაუცავს სარწმუნოება, ჩვეულება და საყვარელი თვისი ქართული ენა, თვისი მამული და ვმელა ესენი შეუბღალავად გადაუცია რუსეთის დიდის იმპერიისათვის,—ეხლა ვიდაც ვიგინდარებს ისე აბუჩად გაუხდიათ, რომ სურთ თავიანთის სურვილისამებრ შეუცვალონ ღვთისაგან შერჩენილი სახე. რომელს შეგნებულს რუსს, ქართველსა და სომეხს შეუძლიან უარჰყოს ის ჭეშმარიტება, გარდა,რასაკვირველია, აშორდიასა, პალმისა და ამათის სახეგანთქმულ მოციქულებისა, რომ მეგრელისთვის უსაჭიროესი არაა შინ და გარედ ქართული ენა, რომ ქართული ენა მეგრელთან შესისხლხორცებული არაა, რომ მეგრული კილო (და არა ენა, როგორც ზოგიერთები ხმარობენ და შეცდომით იმეორებენ) იგივე ქართული ენა არ არის? არსად არავის გაგვიგონია, არსად არ გვინახავს, არ შეგვხვედრია და არც გაგვიგონია, რომ ჩვენს წინაპრებს გულში გაეტარათ ქართული ენის უარყოფა და საკუთარი ენა-ანბანის შედგენა. სამეგრელოსაც არა ერთხელ ჰქონია «ოქროს დროება», ჰქონია ისეთი დროც, რომ თითქმის დიდი ნაწილი საქართველოსი მასგან დამოკიდებული ყოფილა, მაგრამ ასეთ თავისუფალ დროსაც მცირეოდენ ფიქრსაც არ გაუვლია მეგრელის გულში, რომ იგი ქართველი არ არის ან როგორ შეიძლებოდა ასეთის საქმეზედ კრინტი დაეძრა ვისმეს, ან ეხლა როგორ შეიძლება ამის თქმა იმასთან, ვისაც შერჩენია ძველებური სიყვარული ქართულის ენისა, რომელნიც სახლშიაც ქართულს ხმარობენ? ქართულის წინააღმდეგი აზრები მოსდის იმ ვაჟბატონებს რომელთაც პირადი ინტერესი გაუღმერთებიათ. დიაღ, ასეთი პატონები ცდილობენ ჭიანჭველის კვერცხიდან აქლემი გამოჩეკონ, თორემ დასამტკიცებლად იმისა, თუ რა თვალით უცქეროდა და უცქერის ჭეშმარიტი და ნამდვილი შეგნებული მეგრელობა ამ ახალს მიმართულებას, ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ როდესაც ვიგინდარებმა სცადეს მეგრული წირვა-ლოცვის შემოღება, მთელმა მეგრელობამ საშინელი გულის წყრომა განაცხადა. მოგეხსენებათ, ეს მარტო ცდა იყო მათი მხრივ და ამ ცდას ისეთი არა სასურველი შედეგი მოჰყვა, რომ ღმერთმა ნუ ჰქნას, მეორედ განმეორებულიყოს.

გაზეთისა და მკითხველის მერიდება და მაგალითიც არ მომყავს, თუ რა სასაცილო და მასთან საზიზღარი გმობა-დაცინვა გამოიწვია ამ ცდამ. უმრავლესი ქართული ლოცვა-ვედრებანი, რომელსაც ქართულად დიდის მოწიწებით და სასოებით იმეორებდნენ, მეგრულ კილოზე უსიამოვნო და სასაცილო გახდა.

თუ რამდენად საჭიროა ახალგაზდებისათვის ქართული ენის სწავლება, ამას ამტკიცებს ის მოვლენა, რომ თითქმის საერო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულნი უფრო ქართულ ენას ეტანებიან, ქართული მიწერ-მოწერა ემარჯვებათ, ქართული ნაწერებს უფრო იგებენ, თუმცა სასწავლებელში ქართული ანბანიც არ უნახავთ!! ამ სტრიქონების დამწერს არა ერთი და ორი ასეთი უმაწვილები უნახავს, რომელნიც ხმარობდნენ სიტყვას წინადადებებში და არ გაეგებოდათ მისი შინაარსი, იცოდნენ დექსი და უმრავლესი მისი სიტყვები კი არა, აი პირველად სად ავნო მუნჯურმა მეთოდმა!!! მინახავს აგრეთვე მათ მიერ ქართულად ნაწერი ბარათები, მოწმობები და აღტაცებაში მოვუყვანივარ. დასასრულ, თუ გსურთ მეგრელმა ყმაწვილმა მისთვის საჭირო სახელმწიფო ენა უკეთ შეისწავლოს, გახდეს ერთგული ქრისტიანე და შეგნებული მოქალაქე, მიეცით მას საშუალება ქართული ენის სწავლისა და ხელს ნუ შეუშლით. მეგრელს თვისი თავი მიაჩნია ქართველად, იგი ეკუთვნის ქართველს ტომს, მისი ძვალი შვილია. მე ვამბობ ამას, მე, მეგრელი ქართველი, და იმედი მაქვს, ხმა ჩემი არ დარჩება «ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. აი, აზრი და სამართლიანი რჩევა ყოველი ჭეშმარიტის მეგრელისა.

ჯაჯუ ჯორჯია.

---

# რუსეთი

ეკატერინოსლავის გუბერნატორმა, თანახმად 2 თებერვლის უმაღლესის ბრძანებისა, დაუგზავნა ეკატერინოსლავის გუბერნიის ყველა პოლიცმეისტერთა და მაზრის უფროსთ („ისპრავნიკი“) ცირკულიარი, რომლითაც აუწყებს, რომ ყველა პოლიტიკური დამნაშავე, რომელიც მოისურვებს ცოლშვილთა მონახვას მამაქმედ ჯარში წასვლით, დაუყონებლივ განთავისუფლებულ იქმნას პოლიციის ზედამხედველობიდგან და გაიგზავნოს შორეულ აღმოსავლეთსაო („ეკატ ლისტ.“).

— გაზ. «ნოვოსტი დნია»-ს დეპეშით ატყობინებენ სარატოვიდგან: 18 თებერვალს, სადამოს 5 საათზედ, სარატოვის ციხის პატიმარნი, რომელნიც სისხლის სამართლის კანონით იყვნენ დატუსაღებულნი, სცადეს ციხის დაწვა, ამ დროს ციხეში შევიდა ციხის ზედამხედველი; ტუსაღებმა წაართვეს მას რევოლვერი და რამდენჯერმე გაისროლეს ფანჯარაში. გუბერნატორმა ჯარი გამოიწვია და წესიერება აღადგენილ იქმნა. ერთი ტუსაღი მსუბუქად არის დაჭრილი. ციხის ზედამხედველს უეცრად გაუკარდა თოფი და სასიკვდილოთ დასჭრა პოლიციის ყაზახი რუდოვი.

— მოსკოვში თურმე ბავშვები ციგებით ცურაობდნენ. იმ სახლში, რომლის პირდაპირაც ბავშვები თამაშობდნენ, სცხოვრობს, კბილის ექიმი ნესმეიანოვი. ამ ვაჟბატონს არ მოსწონებია ბავშვების მხიარულობა და ერთი მათგანი, 8 წლის ბავშვი, მეტად უღმერთოდ უცემია. ლოყები და პირისახე თურმე სულ დაუღურჯა საწყალს ბავშვს და ყურები ისე აუწევია, რომ ბიბილო აუგლეჯნია; ბავშვს მეტის ცემისაგან მთელი სხეული სულ დასიებია, როგორც მოწმეები ამტკიცებენ. კბილის ექიმი ნესმიანოვი პასუხის გებაში მისცეს ამის გამო. 16 თებერვალს ეს საქმე გაარჩია ალექსანდროვის ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ და წინადადება მისცა ნესმეიანოვის ვექილს, რომ ბავშვის ჭირისუფალთ შეჰრიგებოდა. ვექილმა უპასუხა,—მე მინდობილობა არა მაქვს ჩემის კლიენტისაგან, რომ მომჩივანთ შევურიგდეო. სასამართლომ 21 დღით ქალაქის სატუსაღო სახლში დამწყვდევა გადაუწყვიტა კბილის ექიმს ნესმეიანოვს. («რ. ს.»).

---

# უცხოეთი

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**რომი.** «ივერიის» № 11, უცხოეთის ნაწილში, მოხსენებული იყო შემდეგი: «რომის პაპმა საჭიროდ დაინახა მოუსპოს სუბსიდია იმ გაზეთებს, რომლებიც ვატიკანის ინსტუქციას არ ასრულებენო.» აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ვითომც ის გაზეთები, რომლებიც უწინ ვატიკანის მომხრე და მისი იდეების გამავრცელებელი იყვნენ, დღეს მისთვის ზურგი უქცევიათ და მას აღარ ემორჩილებიან, რის გამო ვატიკანიც იძულებული ხდება მათ სუბიდია მოუსპოს. ესრეთი ამბავი ყოველნაირ სიმართლეს მოკლებულია. ლიბერალი გაზეთები ვატიკანის შესახებ ხშირად ავრცელებენ ამისთანა ჭორებს და ცდილობენ, რომ ეს თავიანთი ფანტაზიური ჭორები საზოგადოებაში ნამდვილ ჭეშმარიტებად გაასაღონ. ვატიკანს თვისი საკუთარი მარტო ერთი გაზეთი აქვს «ოსერვატორე რომანო», რომელიც თავის ხარჯით ყოველ დღე გამოდის რომში და პაპის ყველა განკარგულებას პირველად ეს გაზეთი აქვეყნებს. ამის გარდა პაპს სხვა გაზეთი არ აქვს და სუბსიდიას არავის აძლევს. გარნა ესეც უნდა შევნიშნოთ, მთელი ქვეყნის კათოლიკების ყველა გაზეთები პაპისა არის, ესე იგი, პაპის ინსტრუქციას ნებიერად, სამოვნებით დ უქვეშევრდომილესად ასრულებენ, მაგრამ პაპი მათ არავითარს სუბსიდას არ აძლევს. კიდევაც გულით რომ უნდოდეს, მაინც ვერ შესძლებს რაიმე სუბსიდიის მიცემას, რადგან ამისათვის ბევრი მილიონები დასჭირდება. მაგრამ რომელიმე ამ გაზეთთაგანმა თუ არ აასრულა პაპის ინსტრუქცია და წინააღმდეგ მიმართულებას დაადგა, მაშინ ასეთი გაზეთი თავისით დასცრება კათოლიკე გაზეთობისგან და შეიქმნება ლიბერალთა გაზეთი, რომელსაც არავითარი ურთიერთობა არ შეუძლიან იქონიოს ვატიკანთან. ხოლო ეს-კი უნდა შევნიშნოთ, პაპმა ლეონ მე-XIII ამ ექვსი წლის წინად დააარსებინა თვიური გაზეთი «ბესარიონი» (Bessarione) თავისის ხარჯით. ამ გაზეთის მიმართულება ის არის, კარგად გამოიკვლიოს აღმოსავლეთის ისტორია, მეტადრე საეკკლესიო. რადგან იგი მეტად მოზიდული იყო აღმოსავლეთისადმი, ამისთვის არასფერს ზოგავდა მისს სასარგებლოდ. ახალმა პაპმა, პიო მე-X, რა ნახა, რომ ეს გაზეთი ისე სამეცნიერო და საისტორიო გამოცემა იყო, როგორც სხვა ბევრი მისთანა პერიოდული გაზეთები და შეეძლო ამასაც სხვებსავით თავისი ხარჯი თვითონვე გაეწია, ამისთვის საჭიროდ აღარ სცნო, მისთვის სუბსიდიის მიცემა განეგრძო. აი ეს იყო მიზეზი, და არა ის, რომ ვითომც ამ გაზეთს ვატიკანის ინსტრუქცია აღარ აესრულებინოს, როგორადაც მოაჭორეს ლიბერალთა გაზეთებმა.

აგრეთვე «ივერიის» № 14-ში ოქმული იყო: «პაპის განკარგულებით, შესდგომიან მისს სასახლეში მოსამსახურეთა შტატის შემცირებას. ჰფიქრობენ, ჯამაგირი მოუკლონ კარდინალებს და შეამცირონ ჟანდარმერიაო». ესეც სიმართლეს მოკლებულია. შეიძლება, მომავალში ამის მ გავსი რამ განკარგულება გამოვიდეს, მაგრამ დღეს, აქნობამდინ-კი, ვატიკანში ამისთანა აზრი არასფერი არ ყოფილა. მხოლოდ ეს-კია, რომ პაპი, რადგან მეტად დახელოვნებული და გამოცდილია ადმინისტრაციაში, თვალ-ყურს ადევნებს ყველაფერს, რათა უბრალოდ და უსაჭიროებოდ არასფერი არ დაიხარჯოს და ყველასფერი სასარგებლოდ მოხმარდეს.

X.—

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ინგლისელთა ექსპედიცია თიბეთს არც თურმე ისეთი სადა და უმნიშვნელო რამ ამბავი ყოფილა, როგორც, შესაძლოა, ბევრსა ჰგონია. გაზეთი «ოდ. ნოვ.»-ი ძალიან შეუფიქრიანებია ამ ექსპედიციას. გაზეთი ამბობს: ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა მარკიზმა ლანსდოუნმა სთქვა,—თიბეთი დამოუკიდებელი უნდა იყოსო და ამას დასძინა კიდევ: თუ რომელიმე დიდს სახელმწიფოს უნდა უპირატესი გავლენა იქონიოს თიბეთში, ეს სახელმწიფო ინგლისი უნდა იყოსო.

ამაზედ გულ-ახდილი, გამოთქმული დაპარაკი და ცხადი მუქარა რუსეთის მიმართ აღარ შეიძლებოდა მარკიზ ლანსდოუნისაგან, იმიტომ, რომ კიდევ მეტი რამ რომ ეთქვა, შესაძლოა, იმ ლაპარაკს ბაშინვე სადიპლომატო ურთიერთობის მოსპობა მოჰყოლოდა, მით უმეტეს, რომ ეგ ურთიერთობა უმისოდაც ძალიან ჭკავს მოქიშპეთა ბდღვრასა. თიბეთელთათვის,—სთქვა სხვათა შორის მინისტრმა,—იმედი აქვთ რუსეთის დახმარებისა და ეს ტყუილი იმედია მიზეზი, რომ ასე შეუპოვრად გვეურჩებიანო.

ტყუილია, თუ არა ეგ იმედი, ამას პერმისი დაგვანახვებს. ხოლო რომ თიბეთელნი შეუპოვრად ეურჩებიან ინგლისელებს, ეს ცხადია. ინგლისელების ექსპედიცია ძალიან ნელა მიიწევს წინ. ინდოეთის მეფის მოადგილემ ეს მესამედ გაუგზავნა მაშველი ჯარი. თიბეთის მკვიდრნი ცხადად ჰხედავენ, რისთვისაც მიდის იმათ ქვეყანაში ექსპედიცია და ამიტომაც სტუმართ-მოყვარეობით არ ეგებება.

მართალია, შარშან, როცა ექსპედიცია გამართა, ლანსდოუნმა დაათანხმა რუსეთი, ჯარს არ შევიყვან თიბეთში, არ დავიჭერ ამ ქვეყანასაო. ჩვენს გარეშე საქმეთა მინისტრს შემოუთვალა, ეგ ექსპედიცია სამხედრო არ არის, ცოტა საზღვრების გამორკვევის საქმეაო. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეგ დაპირებაც, ეგ დათანხმებაც მაშინ იყო, როცა რუსეთის ჯარს ფიქრადაც არ მოსვლოდა ომი შორეულს აღმოსავლეთში. ხოლო ამ ჟამად რუსეთს დიდი საზრუნავი გაუჩნდა შორეულს აღმოსავლეთში და ლონდონში სწყართბენ ბერი მალე წაავრან, ვიდრე თონე ცხელია.

ინგლისს ცხადად ეტყობა, რომ უნდა შეესიოს თიბეთს. ასე რომ არ ყოფილიყო, ამ ორის წლის წინად დეპუტაცია არ მივიდოდა თიბეთელთა პეტერბურგში ხელმწიფე იმპერატორთან და არა სთხოვდა მფარველობას. თიბეთელნი ახლაც აპირებენ ამისთანა დეპუტაციის გაგზავნას. ყოველ ამის გამო ცხადია, რომ ლანსდოუნის მუქარა ისეთი რამ არის, რომელსაც შეუძლიან მეტად გაართულოს და გაამწვავოს საქმე. ამ ორის წლის წინად რუსეთმა არ მოისურვა ინგლისის გაჭირვება თავისს სასარგებლოდ გამოეყენებინა ბურთა ომის დროს და დეპუტაციის თხოვნა თავაზიანად უარყოფილ იქმნა. ახლა-კი, როცა როლები შეიცვალა, ინგლისელებს უნდათ გააკვირვონ ქვეყანა თვისის უმადურობით. იაპონია მტრად გადაგვკიდა და უნდა დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა თვისდა სასარგებლოდ გამოიყენოს. საფრანგეთის მორიდებით, ინგლისმა, იქნება, იაპონიას მხარი არ მისცეს, თუ ბედმა უმტყუნს. უფრო სამჯობინარობს ჰხედავს თიბეთს განავარდოს და ამ დივერსიით უურადღება რუსეთისა და მისი ძალ-ღონე შორეულ აღმოსავლეთს მოაცილოს იაპონიის სასიკეთოდ. ეს ერთი, და მეორე კიდევ თიბეთი შეიძინოს. შეუსრულდება ეს წადილი თუ არა ინგლისს, არ ვიცით, ხოლო რომ რუსეთმა ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს, ამას ეჭვი არა აქვს.

---

# თეატრი და ხელოვნება

## ქართული თეატრი.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობაში, როგორც ვიცით, თითქმის არც ერთი ახალგაზდა მსახიობთაგანი არ შესულა. ამხანაგობის გარეშე დარჩენილებმა, იმათ ცალკე ამხანაგობა შეადგინეს და გადასწყვიტეს, თავისი ძალ-ღონით მართონ ხოლმე წარმოდგენები. პირველი წარმოდგენა გამართეს სამშაბათს, 24 თებერვალს; წარმოადგინეს ა. ყაზბეგის დრამა «არსენა» და ნ. გალუსტოვის სცენები «არკადიას სადილი». თუმცა პირველი რიგის» მსახიობებმა ამათ ზურგი აუხვიეს და თავიანთს გამოცდილებას ჩამოაშორეს, მაგრამ ახალგაზდა მსახიობებთ კარგად წარმოადგინეს ორივე პიესა და ზოგიერთმა მათგანმა საკმაო სცენიური ნიჭი და უნარი გამოიჩინა, რაც სეზონის განმავლობაში დაჩრდილული იყო, არა სჩანდა; მაგ., ბ. მატარაძემ (ზაქარია) «არსენაში» ჩინებულად დაგვიხატა გარსევანის მოურავის სულიერი მდგომარეობა, როცა ის, დიდი ბრძოლის შემდეგ, ჰკისრულობს არსენას მოკვლას. მოფიქრებული თამაშობა მსახიობისა ნათლად გვიხატავდა, რაც ხდებოდა ამ ბრძოლის დროს ზაქარიას სულსა და გულში. კარგი იორამი იყო ვ. ჰელიძე. ბ-ნნი იმედაშვილი და ივანიძე ჩვეულებრივად სინიდისიერად მოჰკიდებოდნენ თავიანთს როლებს და კარგადაც შეასრულეს, პირველმა—არსენას როლი, ხოლო მეორემ—გარსევანისა.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ორიოდე სიტყვას ვიტყვით იმ ნაკლზედ, რომელიც ივანიძის თამაშობას სჭირს და მსახიობი რაც მალე მოიშორებს მას, მით უფრო კარგი იქნება. ჩვენის აზრით, მსახიობი ღრმად არ ჩაიხედავს ხოლმე იმ როლის ხასიათში, რომელსაც ის აპიროვნებს. ის გარეგან მხარეს როლისას უკვირდება, მთელს ყურადღებას როლის ზეზეურად გადმოცემას ანდომებს და ამასობაში შიგნით დამარხული აზრი როლისა, მისი შინაარსი, მსახიობს ეპარება. ამიტომაც არის რომ მსახიობი ადვილად ხდება ხოლმე მსხვერპლი იმ სენისა, რომელსაც გადაჭარბება ჰქვიან და რომელიც ხელს უშლის ერთიან შთაბეჭდილებას. იმედია, ეს მცირე შენიშვნა არტისტიულ თავმოყვარეობას მსახიობისას არ შეაშფოთებს და იგი კვლავ განაგრძობს შრომითა და მეცადინეობით იმ ნიჭის განვითარებას, რომელიც მსახიობს აქვს.

დანარჩენებიც—ბ. სარჯველაძე, ბაქრაძე, გვარაძე და სხვ.—ხელს უწყობდნენ ანსამბლს. საფაროვი ცოტა სუსტი სირაჯი იყო.

პროგრამაში ნინოს აღმსრულებლად ნ. დავითიშვილი იყო გამოცხადებული და რატომ არ თამაშობდა, ვერ გავიგეთ. ნუ თუ იმანაც უღალატა თაკისს ყმაწვილ ამხანაგთ?

«არკადიას სადილში» კარგები იყვნენ ბ-ნნი ბეგლარიძე, იმედაშვილი, ივანიძე და სხვ. საერთო ანსამბლით ჩაიარა მეორე პიესამ.

ხალხი წარმოდგენას საკმაოდ დაესწრო.

ქ. ყი—ნი.

---

დღეს, 26 თებერვალს, ქართულს თეატრში წარმოადგენენ გაბ. სუნდუკიანცის ცნობილს პიესას «ხათაბალას», რომლის შემოსავლის ერთი მესამედიც გადადებულია შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ ქართველ მეომართათვის ქსენონების გასამართავად. იმედია, ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ წარმოდგენას, მით უფრო, რომ აზრი წარმოდგენისა მეტად სიმპატიურია.

---

**ქუთაისი.** კვირას, 22 თებერვალს, ბ-ნ ალ.-მესხიშვილის მონაწილეობით და სცენის მოყვარულთა დახმარებით გამართულ იქმნა წარმოდგენა. ითამაშეს «ექიმი შტოკმანი».

პიესამ ძალიან სუსტად ჩაიარა. ბ-ნ ბალანჩივაძისა, ზარდალიშვილისა და თვით რეჟისორის გარდა, როლები არც ერთმა არ იცოდა და ზოგიერთი მათგანი ისე იბნეოდა სცენაზე, რომ არ იცოდნენ რა ექმნათ. უაღაგო ადაგას გადიოდნენ და გამოდიოდნენ, იდგნენ ერთ ადგილას ქანდაკებასავით და ელოდნენ, როდის მიაწოდებდა სუფლიორი სიტყვას, რომ თუ ვიუშავით გაემეორებინათ.

ხალხი როგორც წინეთ, ისე ეხლა დაესწრო ამ წარმოდგენას საკმარისად.

Fernaudo

—

## ქ. ნინო ჩხეიძის პირველი წარმოდგენა ბაქოში.

რუსეთის დიდებული მწერალი ლ. ტოლსტოი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს ნამდვილ ხელოვნების დანიშნულებას: «ხელოვნებამ მარტივად, გარკვევით და გადუჭარბლებად უნდა გარდასცეს ის გრძნობა, რომელიც მხატვარმა თვით გამოსცადა და სურს სხვას გარდასცეს»... «ხელოვნების მიზანია—ხალხი გამსჭვალოს (заражать) იმ გრძნობებით, რომელსაც თვით განიცდის მხატვარი და რამდენად ხალხი ძლიერად განიმსჭვალება, იმდენად კარგი ხელოვნებაა»...*)

რამდენად განიმსჭვალებოდა გუშინ, 22 თებერვალს, საღამოს, ჩვენ სახელოვან მსახიობ ქალის ქ. ნინო ჩხეიძის ხელოვნურ, ბუნებრივ თამაშობით ბაქოელი ქართველი საზოგადოება, იქიდგანაც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ დადგმულ პიესის («უბედური ნაბიჭი») უკანასკნელ—მესამე მოქმედების დროს, ორ მესამედზედ მეტი დამსწრეთაგანი ყრუდ ქვითინებდა, განურჩევლად მამაკაცთა და მანდილოსანთა; ერთ უკანასკნელთაგანზედ-კი ტომით, წარმოიდგინედ რუსზედ, იმდენად იმოქმედა ქ. ჩხეიძის თამაშმა, რომ ველარ შესძლო პიესის ბოლომდე მოსმენა და, სხვების დახმარებით, დარბაზიდგან გავიდა. ეს საღამო, ნ. ჩხეიძის წყალობით, მართლაც რომ ხელოვნების გამარჯვების დღე იყო! აქაურ ქართველ საზოგადოებას აქ წინად მეორე შემთხვევა არა ჰქონია ქართულ სცენიდგან ასე ესტეტიურად დამტკბარიყოს...

მაგრამ, უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი, თუ ჯერ კიდე გუშინდელ ხელოვნურ თამაშის გავლენის ქვეშ მყოფმა, რეცენზენტის (თუმცა უხეირო) მოვალეობას ავუხვიე და წერილი იმით დავიწყე, რითაც უნდა გამეთავებინა. დიახ, გუშინ 22 თებერვალ, საღამოს, ბაქოს არტისტიულ დარბაზში წარმოდგენილი იქმნა ქართულად სამ მოქ. პიესა კარეევისა—«უბედური ნაბიჭი» და ერთ მოქ. კომედია ა. ცაგარლისა—«ჭკუისა მჭირს». ბაქოელებიც ვეღირსეთ ქ-ნ ნინო ჩხეიძის ნახვას მისს რეპერტუარის ერთ საუკეთესო როლში,—ვარვარა მიხაილოვნისაში. ქართველი საზოგადოება, უეჭველია, აღნიშნულ პიესას კარგად იცნობს და ქ. ჩხეიძეც არა ერთხელ უნახავს ვარვ. მიხ. როლში, ამაზე განმარტება მეტია, მხოლოდ აქაური წარმოდგენა ერთიც იმით იყო ჩვენთვის მიმზიდავი, რომ ქ. ჩხეიძეს ღირსეულად მხარს უჭერდნენ, წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებით, ჩვენში ისეთი სახელდამსახურებულნი მსახიობნი, როგორნიც არიან: ქ.ქ. ანდრონიკაშვილი, ეფ. მესხი და ახალგაზდა ბ ნი მ. ქორიძე. განსაკუთრებით კარგი იყო ქ-ნი ანდრონიკაშვილი: დიდებული შეხედულობით, დინჯი მიხვრა-მოხვრით, სიცბიერ-მლიქვნელობით, დაუნდობელი, ბიწიერი და ფუჭი ცხოვრების გამოხატვით —ბუნებრივად წარმოგვიდგინა ავტორის-მიერ დახატული ბურჟუა-არისტოკრატიის ტიპი —ბარონესა იდა.

კარგი იყო, როგორც თითქმის ყოველთვის, ბ-ნი მ. ქორიძეც: მისი მოფიქრებული, დინჯი, გრძნობიერი თამაში, სცენაზედ თავისუფლად თავის ჭერა, მკაფიო და საამური გამოთქმა, ყოველთვის დამსახურებულ თანაგრძნობას იწვევს. ასეთივე იყო ბ ნი ქორიძე როტმისტრ ბალავინის როლში. შესაფერისადვე ხელს უწყობდა ქ-ნი ეფ. მესხი თავის პატარა—ეკატერინე პეჩორინის როლში. საერთო ანსამბლი უფრო უზადოდ ჩაივლიდა, რომ ისეთი საპასუხო როლია, როგორიცაა ალექსანდრე ბოროდინისა, უფრო უკეთეს სცენის მოყვარულისათვის მიენდოთ, ვიდრე იყო ბ-ნი ს—შვილი; შეიძლება ამას სხვა საპატიო მიზეზი ჰქონდეს, მაგრამ ამ საღამოს ასეთი მწყობრი თამაში ცოტა, არ იყოს, იჩრდილებოდა. დანარჩენნი სცენის მოყვარულნი თავიანთის მონაწილეობით არ ახდენდნენ პიესის საერთო მიმდინარეობას.

ვიმეორებ, ქ-ნ ჩხეიძის თამაშმა დიდი შთაბეჭდილება იქონია აქაურ საზოგადოებაზედ, რომელიც ბლომად დაესწრო. დიდის აღტაცებით და ვაშას ძახილით დიდ-ხანს არ ეშვებოდა და იწვევდა მსახიობს.

ბევრისგან გამოითქვა ის აზრიც, რომ ჩვენცა გვყოლია კომისარჟევსკაიაო და თუ «ჩვენი კაკალიც არა ჩხრიალებს», ცხოვრების ვითარების ბრალიაო. .

ბევრი კიდე ჰკვირობდა, რომ ჩვენი დრამატიული საზოგადოება რატომ იშორებს იმგვარ ახალგაზრდა, დიდ-იმედების მომცემ ძალს, როგორნიც არიან ქ-ნი ჩხეიძე, ბ-ნი ქორიძე და სხვ., და საზოგადოდ რატომ არსებობს ის გახხეთქილება და მიხლა-მოხლა მსახიობთა შორის და აგრედვე ამ უკანასკნელთა და დრ. კომიტეტს შორის, რომელსაც აქაც ვიგებთ, სხვათა შორის, გაზეთების შემწეობით?

გ. ახალციხელი

*) Что такое искуство?—Л. Н. Толстого, изд. «Посредника» 98 г.

# დეპეშა

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 თებერვალი.

**პეტერბურგი.** დეპეშა ხელმწიფის მოადგილის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელზე მუკდენიდგან გამოგზავნილი 24 თებერვლის თარიღით: «უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას დაწვრილებით 22 თებერვლის ვლადივოსტოკთან მომდარ ამბავს: «ასე, დილის 11 საათზედ, მტრის ესკადრამ გაიარა კუნძულ ასკოლდის გვერდით, დასტოვა კუნძულის ჩრდილოეთით ორი კრეისერი, ხოლო დანარჩენმა გემებმა-კი გასწიეს მწყობრად უსურიის ყურესაკენ, ასე 15 ვერსის მანძილზე ნაპირიდგან, და დაუწყეს სროლა უსურიის ბატარეიას ჯერ წამლიანი ყუმბარებით, რომ ზარბაზნები სროლით გაეხურებინათ. ორის ნახევარ საათზედ-კი მოუახლოვდა ბატარეიას რვა ვერსზე და დაუწყო სროლა, შემდეგ მთელი ესკადრა შეჰყვა ნაპირსა და მარცხენა გვერდიდან ესროდა. გაბრუნების დროს, მარჯვნივ მტერს ყუმბარები არ უსროლია; შემდეგ ესკადრამ მესამის საათსს 20 წუთზე დაანება სროლას თავი და წავიდა სამხრეთისაკენ კუნძულ ასკოლდის მარჯვნივ და ექვსის ნახევარ საათზედ სრულიად მიგვეფარა თვალთაგან. მტერმა სულ 150—200-დე ყუმბარა გამოისროლა. ზიანი უმნიშვნელოა. ციხის შენობებს ზიანი არ მოსვლია. ქალაქსა და ციხის სხვა ნაწილებში მცირე ზიანია. ჯარი და მეციხოვნენი კარგად ჰგრძნობენ თავსა. ბატარეია საომრად კარგად არის მოწყობილი. როგორც გვაცნობეს, მტრის ესკადრა, 23 თებერვალს, დილის 8 საათზე, კიდევ გამოჩნდა ვლადივოსტოკთან, შევიდა უსურიის ყურეში, აუარა ნაპირებს, არ უსროლია და ისევ დაბრუნდა უკან განოვის კონცხისაკენ. მეოთხე საათზე იქიდგან გაბრუნდა და სამხრეთისაკენ გაემართა.

**ვაშინგტონი.** («რეიტერის სააგენტო») სენატმა საზღვაო სამინისტროს ბიუჯეტი, რომელიც 97 მილიონი დოლლარს უდრის, დაამტკიცა.

**შანჰაი.** («რეიტ. სააგენტო»). პეკინში მყოფმა რუსეთის ელჩმა დაავალა აქაურს რუსეთის კონსულს, საკანონერო ნავს «მანჯურიას» იარაღი აჰყარეო.

**ტოკიო.** 26 თებერვალს დაიწყებენ რკინის გზის გაყვანას სეულიდგან პენიანამდე. გზა ენკენისთვეში უნდა დამთავრდეს.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). იაპონიის ესკადრამ კუნძული ხაი-იან-დაო დაიჭირა.

**ვაშინგტონი.** («რეიტერ. სააგენტო»). ჩინეთმა მუკდენსა და ანდუნში დანიშნულ ამერიკის კონსულებს მისცა ამ ქალაქებიდან გასვლის ნება. რადგანაც ეს ქალაქები რუსეთის ჯარებით არის დაჭერილი, არავითარიმე ვაჭრობა შეერთებულ შტატებთან აღარ წარმოებს და სახელმწიფო დეპარტამენტს საფუძველი არა აქვს ამ ადგილებში კონსულები იყოლიოს. ამერიკის კონსულები შანჰაის მოვიდნენ და აქ შემდეგში ომის მსვლელობას მოუცდიან.

**მოსკოვი.** სამღვდელოება და სხვა წოდებანი გენერალ-ადიუტანტს კუროპატკინს უმზადებს ხატს; სამხატვრო სამუშაო მინდობილი აქვს ვასნეცოვს, ხოლო ლითონისა-კი—ოვჩინიკოვს.

**ირკუტსკი.** უმაღლესი ბრძანება გამოცხადდა, რომ ზაბაიკალის და ბაიკალის გარშემო გზებისათვის შემოღებული იქმნება სამხედრო წესები. გენერალ სუხოტინს მიენდო წესიერებისა და ამ გზების დაცვა.

**ქრისტიანია.** ნანსენმა სანფიორდის ქალაქის თავს სთხოვა, ზღვის ღორების მონადირეებმა ყურადღება მიაქციონ, რომ ბარონ ტოლის პოლიუსის ექსპედიცია იპოვონ. როგორც ნანსენს ჰგონია, ექსპედიცია მცურავმა ყინულებმა გაიტაცა და გაიტანა ფრანც იოსების ახალ მიწამდე, შპიცბერგენამდე ან გრენლანდ ის ნაპირებამდე

25 თებერვალი.

**შახაი.** იაპონიის ჯარების საომარ ფეხზე დაყენება წესიერად მიდის, თუმცა-კი ძალიან მძიმედ, ვინემ ეგონათ. გადასხმენ თუ არა ყველა ჯარებს კორეაში, გაჰყოფენ ოთხ ნაწილად ჯარებს რა და რა ალაგებზე დააყენებს არავინ იცის.

**რომი.** რუსეთის მეზღვაურნი, რომელნიც იტალიის გემით «ელბათი» წამოიყვანეს, გონკონგში რუსეთის მოხელეებს ჩააბარეს.

**ვენა.** კერბერმა დეპუტატთა პალატაში დაარწმუნა, რომ ავსტრია უნგრეთსა და რუსეთს შორის სრული თანხმობაა როგორც საზოგადო მისწრაფებათა, ისე იმ საშუალებათა გამო, რომელიც ორთავ სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ.

**ტოკიო.** მიკადოს განუძრახავს, ომის დროს თვისს სასახლეში მოსამსახურეთა შტატი შეამციროს, რამდენადაც-კი შესაძლებელი იქმნება.—იაპონიის მემკვიდრე პრინცი არისუგავა მალე ჯარის უმთავრეს სადგომს წავაო. მარკიზი იტო კორეაში მიდის, სადაც იმპერატორს მიკადოს საკუთარს წერილს გადასცემს; რა განძრახვაა ამ მისიისა, არავინ იცის. იტოსთან მისდევს ვიცე-პრეზიდენტი და მდივანი საიდუმლო საბჭოსი, გენერალ-მაიორი უსაგავა და კონტრ-ადმირალი საკამოტო.—რუსეთის ვლადივოსტოკის ესკადრა ზღვაზეა. ამბობენ, ამ ესკადრასა და იაპონიის ესკადრას შორის ბრძოლა მოხდაო, რომლის შედეგი ჯერ არ ვიცითო. რუსეთის მოწინავე ცხენოსანი რაზმები, რომელნიც ამ უკანასკნელ დროს კასანიას ახლო იყვნენ, მძიმედ მიდიან იალუსკენ.—სეულიდან იჭუსაკენ დაიწყეს რკინის გზის კეთება.

**ბელოსტოკი.** პოლიცმეისტერს პელენკინს და მისს თანაშემწეს პოლხოვსკის ტყვია ესროლეს. საქმე აი როგორ იყო: როდესაც მუშას მარხავდენ ხალხში, რომელსაც კუბო მიჰქონდა, პოლიციამ შენიშნა წესიერების დარღვევა; მაშინვე მიიღეს ღონისძიება წესის დამრღვევთა დასაჭერად; პოლიციას ქვა დაუშინეს; გაისმა სროლის ხმები; მოვიდნენ პოლიცმეისტერი და მისი თანაშემწე, რომელთაც პოლიციის ხელმძღვანელობა დაუწყეს. ამ დროსა და მაშინ, როდესაც ერთ მსროლელთაგანს გამოუდგნენ, პოლიცმეისტეს რამდენჯერმე ესროლეს.

დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე.
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

### პეტერბურგის ბირჟა

24 თებერვალი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,75 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 6,7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 90½ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 350 წვრ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 308 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 246 წვრ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (მოსკოვს მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2 საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

## ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი ისყიდება ზომიერ ფასებით ფ. ავსარქისოვის მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზის სადგური სკრა. ფ. ავსარქისოვს. კატალოგები ეგზავნება მუშტრებს უფასოთ. (10—6)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. გ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მისის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ყვასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




**მოითხოვეთ ყველგან ნანდვილი**

„ოდონტინი“ მ ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბუგრას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (33—6—33)




**მსწრაფლ მბეჭდავი**

**სტამბა**

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

ს.-პეტერბურგის კომპანია

**„ნადეჟდა“**

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| მარითადა თანხა | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხა | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს. პეტერბურგის კომპანიის ნადეჟდას„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—ნ.—17)